# ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
**ზაზა შეყილაძე**

22 იანვარი 2020 წელი
N 5/36

ეგზ.: N1

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს
უზრუნველყოფის 2016 - 2018 წლების
ეფექტიანობის აუდიტი

# სარჩევი


ტერმინთა განმარტება ..... 4

შემაჯამებელი მიმოხილვა ..... 5

1. შესავალი ..... 8

1.1 აუდიტის მოტივაცია ..... 8

1.2 აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები ..... 9

1.3 აუდიტის კრიტერიუმები ..... 9

1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია ..... 11

2. ზოგადი ინფორმაცია ..... 13

2.1 სფეროს აღწერა ..... 13

2.2 სკოლებში მანდატურის განაწილება ..... 17

2.3 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ..... 18

2.4 სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ..... 19

2.5 საერთაშორისო პრაქტიკა ..... 20

აუდიტის მიგნებები ..... 23

3. უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად საჭირო რესურსების მართვა ..... 23

3.1 სკოლებში მანდატურების განაწილების ნაკლოვანებები ..... 23

3.2 სკოლების ვიდეოკამერებით აღჭურვის ნაკლოვანებები ..... 27

3.3 ფსიქოლოგიური მომსახურების ნაკლოვანებები ..... 28

4. ცნობიერების ამაღლების კუთხით გატარებული ღონისძიებები ..... 34

4.1 ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ნაკლოვანებები ..... 34

4.2 მასწავლებელთა გადამზადების ნაკლოვანებები ..... 37

ბიბლიოგრაფია ..... 41

# ტერმინთა განმარტება

**სამინისტრო** – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

**მინისტრი** – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

**მანდატურის სამსახური** – სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

**ცენტრი** – სსიპ – საგანამანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი (სამმართველო).

**მასწავლებლის სახლი** – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

**მანდატური** – შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

**უფლებამოსილი პირი** – სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას იმ სკოლებში, სადაც არ არის მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურია, ეხმარება მანდატურს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაში, მანდატურის სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**ბულინგი** – ბულინგი ნეგატიური ქმედებაა, რომელსაც მოსწავლე განმეორებით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდის. ეს ნეგატიური ქმედებები ერთი ან რამდენიმე პირისგან შეიძლება მომდინარეობდეს და შეიცავდეს როგორც ფიზიკურ, ისე ვერბალურ და კიბერთავდასხმებს.

# შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, განათლებისა და მეცნიერების კავშირის გაძლიერებას.[1] ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს სკოლაში ძალადობისგან თავისუფალი, უსაფრთხო და პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა წარმოადგენს. უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს მისაღწევად, ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფის გარდა, განსაკუთრებული როლი ენიჭება მოსწავლეთა ცნობიერებას – საკუთარი უფლებების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს ეფექტიანობის აუდიტი იმის დასადგენად, რამდენად უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემო. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ის ნაკლოვანებები, რომლებიც გავლენას ახდენს სისტემის პროდუქტიულობასა და ეფექტიანობაზე, კერძოდ:

- 2018 წლის მონაცემებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ 21%-ია უზრუნველყოფილი მანდატურით. სკოლების 44% აღჭურვილია ვიდეოკამერებით და აღნიშნული სკოლები ასევე უზრუნველყოფილია მანდატურით. ამავე დროს, ქვეყნის მასშტაბით ფიქსირდება 1,161 (50%) სკოლა, სადაც არ არის მანდატური, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ვიდეოკამერები;

- ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებით არ არის უზრუნველყოფილი ყველა რეგიონი, რაც აფერხებს აღნიშნულ სერვისზე ხელმისაწვდომობას. ამასთანავე, ცენტრებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა არ შეესაბამება მათ დატვირთვას, კერძოდ, არ შეესაბამება ცენტრში დაფიქსირებულ მიმართვიანობას;

- მონაცემთა ბაზა, რომელსაც ფლობს მანდატურის სამსახური, არ მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ მოსწავლისთვის ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა და თარიღები, შემთხვევის დასრულების პერიოდი და მიღწეული შედეგები. შესაბამისად, შეუძლებელია მონაცემების სრულად დამუშავება და ანალიზი შედეგების შესაფასებლად, აგრეთვე განსახორციელებელი ღონისძიებების დასაგეგმად;

- მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ფარავს უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების საკითხებს, რომლებიც ისწავლება მე-3 კლასიდან სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში, ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა გამოცემის სახელმძღვანელოში განსხვავებული მოცულობით არის განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის უფლებების კონვენცია, მოსწავლის უფლებები და ა.შ. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, VII კლასამდე არ მიეწოდებათ მოსწავლეებს ინფორმაცია ბულინგის შესახებ;

[1] საქართველოს სამთავრობო პროგრამა – 2019-2020 წლები, თავი 3. განათლება და ადამიანური კაპიტალის განვითარება.

- სამინისტროს მიერ მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით არაფორმალური განათლების[2] ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები არ არის საკმარისად ეფექტიანი და არ არის შეფასებული მიღწეული შედეგები;

- მასწავლებელთა ტრენინგი უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე არის ნებაყოფლობითი და მასწავლებლებს არ აქვთ მისი გავლის ვალდებულება, შესაბამისად, გადამზადებულია მასწავლებელთა მხოლოდ 13%.

გამოვლენილ გარემოებებსა და ნაკლოვანებებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გაუმჯობესდეს სისტემის ფუნქციონირება.

## რეკომენდაციები მანდატურის სამსახურს:

### რეკომენდაცია N 1.

სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასდეს გარემო და მოხდეს მანდატურის რესურსის პროდუქტიული განაწილება.

### რეკომენდაცია N 2.

მანდატურის სამსახურმა სკოლებთან და სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებასთან თანამშრომლობით, მიიღოს და გააანალიზოს ინფორმაცია არასრულწლოვანთა შორის ინციდენტების და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რისი მეშვეობითაც შეძლებს გამოავლინოს მაღალი რისკის მატარებელი სკოლები და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

### რეკომენდაცია N 3.

მანდატურის სამსახურმა შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის მიხედვით, გადაუდებელი და დასაბუთებელი საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სკოლისთვის მანდატურს, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სკოლა გათვალისწინებული იყო თუ არა წლიურ გეგმაში.

### რეკომენდაცია N 4.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, დაინერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც მოხდება დამონტაჟებული ვიდეოკამერების გამართულად ფუნქციონირების პერიოდული მონიტორინგი, შეფასდება მათი საჭირო რაოდენობა და შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლის შესაძლებლობა.

### რეკომენდაცია N 5.

ფსიქოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით:

- თითოეული რეგიონის მიხედვით სკოლებისათვის განისაზღვროს უახლოესი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, სადაც მოსწავლე ოპტიმალურად მოკლე მანძილზე შეძლებს მიიღოს საჭირო მომსახურება;

---

[2] ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამა, რომელიც არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას.

- ფსიქოლოგთა რესურსის პროდუქტიულად გამოყენების მიზნით, მათი ცენტრებში განაწილებისას გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლეთა მიმართვიანობის მაჩვენებელი. ასევე ფსიქოლოგიური მომსახურებიდან მიღწეული შედეგის შეფასების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს ცენტრის მიერ ჩატარებული კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის სრულად ასახვა.

## რეკომენდაციები სამინისტროს:

### რეკომენდაცია N 6.

ადამიანის უფლებების შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების საკითხების ეფექტიანი დანერგვა და სკოლების მიხედვით თანაბარი სწავლება განათლების ყველა საფეხურზე.

### რეკომენდაცია N 7.

ბულინგის, უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტროს მიერ დაიგეგმოს და განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები, სადაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული აქტივობები, მისაღწევი შედეგები და პროგრესის შეფასების ინდიკატორები.

### რეკომენდაცია N 8.

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად, მასწავლებელთა სრული კონტინგენტის უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით ეტაპობრივი გადამზადების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განისაზღვროს კონკრეტული ვადები.

# 1. შესავალი

## 1.1 აუდიტის მოტივაცია

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობის ფაქტების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების გატარების გზით,[3] რადგან ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სკოლაში ძალადობისგან თავისუფალი, უსაფრთხო და პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას უნდა იღებდნენ, რათა ბავშვი დაიცვან ნებისმიერი პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.[4]

ქვეყანაში აქტუალურ პრობლემად რჩება სკოლებში მოსწავლეთა უსაფრთხოება, რაზეც მეტყველებს სკოლებში დარღვევების მაჩვენებლები. მაგალითად, 2016 წელს დაფიქსირდა 143,978 დარღვევის შემთხვევა, 2017 წელს – 135,814, 2018 წელს – 133,033 დარღვევა, ხოლო 2019 წლის 6 თვის მონაცემებით – 387,434. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2016-2018 წლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით გახარჯულია 36,981,020 ლარი.[5]

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა იზრდება წლების მიხედვით – 2018 წელს 2017 წელთან შედარებით მათი რაოდენობა გაიზარდა 38%-ით.[6] ამასთანავე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობაც მზარდია, მაგალითად, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაზრდილია 35%-ით, ხოლო 2018 წელს – 7%-ით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2017-2021 წლების ერთიანი სტრატეგიის მიხედვით, თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის მიზნით, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო მომსახურებას, პრევენციული აქტივობების განხორციელებას. თითოეული მოსწავლის ინტერესზე მორგებული უსაფ-

[3] მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, პროგრამული კოდი: 32 02 13. 2019.

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 მუხლი 3, მუხლი 19.

[5] http://treasury.ge/5671

[6] საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემები.

რთხო, ჯანსაღი, მზრუნველი და მეგობრული სასწავლო გარემოს შექმნა კი, ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა.[7]

2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ ჩაატარა კვლევა ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში. კვლევის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ნაკლები დრო ეთმობა ადამიანის უფლებების შესახებ განათლებას. შედეგად, მოსწავლეთა ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში, ზედაპირულია. რაც თავის მხრივ, შესაძლოა განაპირობებდეს არსებულ სასკოლო გარემოს, სადაც სხვადასხვა საფუძველზე მოსწავლეებს შორის ძალადობა საკმაოდ გავრცელებული რეალობაა.[8]

## 1.2 აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვები

აუდიტის მიზანია შეაფასოს უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიზნით სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

აუდიტის კითხვებია:

1. რამდენად უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად საჭირო რესურსები?

2. რამდენად ეფექტიანია სამინისტროს მიერ ცნობიერების ამაღლების კუთხით გატარებული ღონისძიებები?

## 1.3 აუდიტის კრიტერიუმები

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნით, აუდიტის პროცედურების ჩატარებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- შესაბამისი უწყებების სტრატეგიები;
- საერთაშორისო პრაქტიკა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები.

**გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია**[9] – საერთაშორისო დონეზე ბავშვის უფლებების პირველი კრებულია და სავალდებულოა. ეს უფლებები თითოეული ბავშვისთვის უნდა იყოს გარანტირებული. კონვენცია ეხება 18 წლამდე ასაკის ყველა პირს და აყალიბებს ბავშვთა კეთილდღეობის მინიმალურ სტანდარტებს, მათი განვითარების თითოეული ეტაპისთვის. მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან.

[8] http://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/kvleva-adamianis-uflebebis-swavlebisa-da-saswavlo-garemos-shesaxeb-zogadsaganmanatleblo-sivrceshi

[9] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 მუხლი 3, მუხლი 19.

**„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი**[10] – აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. კანონი ავალდებულებს სკოლას, შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და დაიცვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.[11] დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021** – სტრატეგიის მიხედვით, ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელსაც აქვს რეალური ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, მზად არის აკადემიური, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობებისთვის, შეუძლია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე აქტიური და კონკურენტუნარიანი მოქალაქე. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ თითოეული მოსწავლისთვის უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის მიზნით, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე გათვლილი სერვისებისა და დაცვის სისტემების განვითარებას, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო მომსახურებას, პრევენციული აქტივობების განხორციელებას. თითოეული მოსწავლის ინტერესზე მორგებული უსაფრთხო, ჯანსაღი, მზრუნველი და მეგობრული სასწავლო გარემოს შექმნა კი ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა.[12]

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ** – *„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“.*[13] დოკუმენტი ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. წესის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2017 წლის კვლევა PISA 2015**[14] – კვლევის ფარგლებში შესწავლილია მოსწავლეთა კეთილდღეობა 4 ძირითადი მიმართულებით: მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, ურთიერთობა თანატოლებთან და მასწავლებლებთან, ოჯახური ცხოვრება და სკოლის გარეთ განხორციელებული აქტივობები. კვლევა ასევე შეეხო ბულინგის პრობლემას სკოლებში და გამოვლინდა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოსწავლეთა, დაახლოებით, 4% თვეში რამდენჯერმე არის სხვა მოსწავლეების მხრიდან ფიზიკური ჩაგვრის მსხვერპლი და, დაახლოებით, 11% – დაცინვის ობიექტი.

---

[10] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=76

[11] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=76 მუხლი 9, მუხლი 20.

[12] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, სტრატეგიული ამოცანა 3. საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება.

[13] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4363684?publication=0

[14] https://www.oecd-ilibrary.org/docserver/728d6464-en.pdf?expires=1547646424&id=id&accname=guest&checksum=53D57F0BA8CBFA3B1B1F5D35814ED807

**ევროკომისიის დოკუმენტი: განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის 2001-2004** – *მასწავლებელთა დატრენინგების მექანიზმები დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანთა უფლებების მიმართულებით*[15] – განათლებაში დემოკრატიის საკითხების გაზრდისა და გაძლიერების საჭიროებიდან გამომდინარე, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მიერ შემუშავებულია სამოქალაქო განათლების ახალი ფორმები. დოკუმენტში აღნიშნულია მასწავლებლების გადამზადების საჭიროება მოცემული მიმართულებით.

**იუნესკოს 2017 წლის გლობალური სტატუსის ანგარიში**[16] – *ძალადობა და ბულინგი სკოლებში.* ანგარიშში განხილულია ძალადობისა და ბულინგის არსი, ბუნება და გავლენა განათლების სფეროზე. ანგარიში აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მიერ ძალადობისა და ბულინგის დასაძლევად განხორციელებულ ეფექტიან ღონისძიებებს, კარგი პრაქტიკებისა და პოლიტიკის მაგალითებს. ანგარიში განკუთვნილია განათლების და სხვა რელევანტური სფეროს სამინისტროებისთვის, განათლების პოლიტიკის განმახორციელებლების, სკოლის მენეჯმენტის, პერსონალისა და სხვადასხვა ორგანიზაციისთვის.

## 1.4 აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სხვა ერთეულები. აუდიტის პერიოდად განისაზღვრა 2016-2018 წლები. ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა აუდიტის შემდგომი პერიოდის ინფორმაცია.

აუდიტის საგნად განისაზღვრა ქვეყანაში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

საკითხების შესასწავლად აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი მეთოდები:

- მარეგულირებელი ნორმების შესწავლა და ანალიზი;
- დოკუმენტური ინფორმაციის ანალიზი;
- მონაცემთა ბაზების ანალიზი;
- საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები.

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად განხროციელდა შემდეგი აუდიტორული პროცედურები:

1. **რამდენად უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად საჭირო რესურსები?** ამ მიზნით, აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული მოსწავლეების, სკოლებში განაწილებული მანდატურებისა და დამონტაჟებული ვიდეოკამერების მონაცემთა ბაზები. ჯგუფმა ჩაატარა შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები, გაეცნო მარეგულირებელ ბაზას, სამინისტროს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს, შეისწავლა ფსიქოლოგიუ-

[15] https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016802f7279

[16] https://unesdoc.unesco.org/in/documentViewer.xhtml?v=2.1.196&id=p::usmarcdef_0000246970&file=/in/rest/annotationSVC/DownloadWatermarkedAttachment/attach_import_c08007ed-11b8-4e87-a5e8-d530529b8472%3F_%3D246970eng.pdf&updateUrl=updateUrl6778&ark=/ark:/48223/pf0000246970/PDF/246970eng.pdf.multi&fullScreen=true&locale=en#%5B%7B%22num%22%3A34%2C%22gen%22%3A0%7D%2C%7B%22name%22%3A%22XYZ%22%7D%2C0%2C829%2C0%5D

რი მომსახურების ცენტრის მიერ ჩატარებული 36 კონსულტაციის შესაბამისი დოკუმენტაცია, განახორციელა ქ. თბილისის 10 საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტი და ვიდეოკამერების დათვალიერება; ჩაატარა 207 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორისა და მშობლის, ასევე 136 მანდატურის გამოკითხვა.

2. **რამდენად ეფექტიანია სამინისტროს მიერ ცნობიერების ამაღლების კუთხით გატარებული ღონისძიებები?** აუდიტის ჯგუფი გაეცნო სამინისტროს მიერ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს, შეისწავლა უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით გადამზადებული მასწავლებლების მონაცემთა ბაზები. ჯგუფმა ჩაატარა პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები, გაეცნო ეროვნულ სასწავლო გეგმას, გააანალიზა III-XII კლასების იმ საგნის სახელმძღვანელოები, რომლებიც აერთიანებს უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების საკითხებს.

# 2. ზოგადი ინფორმაცია

## 2.1 სფეროს აღწერა

სამინისტრო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს, უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას.[17]

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. სკოლა ვალდებულია სკოლის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და დაიცვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.[18]

2014-2020 წლების საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფომ ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები უნდა განახორციელოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებების დარღვევის მიუღებლობის და მასზე რეაგირების აუცილებლობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას. ამასთანავე, განათლების სისტემაში ყველა ეტაპზე უნდა იქნეს გათვალისწინებული ადამიანის უფლებების სფეროში განათლების მიღების შესაძლებლობა, მათ შორის, არაფორმალური განათლების სახით.[19]

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო გულისხმობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაცულობას და ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს როგორც სკოლის ადმინისტრაცია და მანდატური, ისე ბავშვის მშობელი და მთლიანად საზოგადოება.

სურათი №2.1.1 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო

[17] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულება, მუხლი 2, პუნქტი 1.

[18] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=76 მუხლი 9, მუხლი 20.

[19] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2348314?publication=0

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. სამსახური ახორციელებს უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ქვეპროგრამას, რათა შექმნას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემო.

## ქვეპროგრამის მიზანია:

- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ძალადობის, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების/გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა;
- ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა;
- ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

## ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

2018 წელს უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით გახარჯულია 12,550,390 ლარი, ხოლო 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსებისთვის განსაზღვრულია 17,755,000 ლარი.

დიაგრამა №2.1.1 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფაზე გაწეული საკასო ხარჯი 2016-2018 წლებში:



სამინისტროს 2017-2021 წლების სტრატეგიის მიხედვით, თითოეული მოსწავლის ინტერესზე მორგებული უსაფრთხო, ჯანსაღი, მზრუნველი და მეგობრული სასწავლო გარემოს შექმნისთვის განსაზღვრულია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- მოსწავლისთვის მეგობრული, უსაფრთხო, თანასწორი, არაძალადობრივი, მაღალი კულტურის მქონე, მამოტივირებელი გარემოს უზრუნველყოფა;
- ყველა დაინტერესებული პირის (მშობლები, თემი, ადგილობრივი თვითმმართველობა) ჩართვა უსაფრთხო, დისკრიმინაციისაგან და ძალადობისაგან თავისუფალი ტოლერანტული სასკოლო გარემოს შესაქმნელად;
- ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის საჭირო პირობების შექმნა (მათ შორის, სპორტული აქტივობები, სამედიცინო მომსახურება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გაუმჯობესება, უსაფრთხო და ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფა);
- სკოლებში ინტერკულტურული განათლების ხელშეწყობა, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის კულტურის განვითარება;
- სკოლის შემდგომი პროგრამებისა და კლასგარეშე აქტივობების მრავალმხრივი განვითარება/შექმნა ყველა მოსწავლისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დარღვევების სტატისტიკას მანდატურის სამსახური აწარმოებს. 2018 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით 1,277 მანდატური განაწილებულია 486 სკოლაში, რაც მოიცავს სკოლების 21%-ს. შესაბამისად, დარღვევები ასახავს მხოლოდ იმ სკოლების მონაცემებს, სადაც წარმოდგენილია მანდატურის სამსახური.

დიაგრამა №2.1.2 სკოლების მანდატურებით უზრუნველყოფა:




2016-2018 წლების სრული და 2019 წლის 6 თვის მონაცემების მიხედვით, სკოლებში დაფიქსირებულია სულ 800,396 დარღვევის შემთხვევა, რომლის 72%-ს შეადგენს მოსწავლის დაგვიანება. სკოლაში მომხდარი მძიმე დარღვევის ტიპის/სახეობის[20] მიხედვით, 2016 წელს დაფიქსირდა 5,361 დარღვევის შემთხვევა; 2017 წელს – 5,926, 2018 წელს – 6,533, ხოლო 2019 წლის 6 თვის მონაცემებით – 5,263 დარღვევა.

[20] ფიზიკური შეურაცხყოფა, აკრძალული ნივთების ტარება, აზარტული თამაშები, ასაფეთქებლის გამოყენება, ალკოჰოლის მოხმარება, სხეულის დაზიანება, ძალადობის მუქარა, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება.

დიაგრამა №2.1.3 სკოლებში დაფიქსირებული მძიმე დარღვევების მაჩვენებლები წლების მიხედვით




საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვმა 2016-2018 წლებში შეადგინა 553, მათგან 141-ს – აღეკვეთა თავისუფლება. აღსანიშნავია, რომ წლების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი მზარდია.[21]

სურათი №2.1.2 არასრულწლოვანი მსჯავრდებულების სტატისტიკა




[21] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika

## 2.2 სკოლებში მანდატურის განაწილება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,[22] საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად შეიძლება დაინიშნოს ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი, აქვს სრული ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება ან უმაღლესი განათლება, იცის სახელმწიფო ენა, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გავლილი აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მოსამზადებელი კურსები. აღნიშნული კურსები სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის/სტუდენტის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებს, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს, ფიზიკურ მომზადებასა და პრაქტიკულ კომპონენტებს.

სკოლაში მანდატურის განაწილების პროცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად: სკოლა მიმართავს მანდატურის სამსახურს საჭიროების შემთხვევაში და შემდეგ ტრენინგის გავლის საფუძველზე ანაწილებენ მანდატურს სკოლაში.

სქემა №2.2.1 სკოლაში მანდატურის განაწილების პროცესი

2018 წლის მდგომარეობით, ქვეყანაში არის 1,277 მანდატური, რომელთა დახლოებით, 21%-ს აქვს პროფესიული და საშუალო განათლება, 79%-ს კი – უმაღლესი განათლება. ყველა მანდატური უზრუნველყოფილია მეტალოდეტექტორით, რომელსაც მანდატური იყენებს მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში როდესაც ხდება მოსწავლის მიერ დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის ფაქტი, მანდატური, ან უფლებამოსილი პირი[23] ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში (errofficers.emis.ge) ასახავს მომხდარს და ავსებს დარღვევის ფურცელს. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლენილი ან სავარაუდო დარღვევა საფრთხეს უქმნის მოსწავლისა და სხვა პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას, დარღვევა გამოვლენისთანავე, დაუყოვნებლივ აისახება ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში და აღნიშნულზე ეცნობება კოორდინატორს, სკოლის დირექციასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. როდესაც აუცილებელია სკოლაში გამოვლენილი უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის

[22] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=76, მუხლი 48’.

[23] 2019 წლიდან იმ სკოლებში, სადაც არ არის მანდატური წარმოდგენილი, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ახორციელებს უფლებამოსილი პირი.

შედეგების მულტიდისციპლინური მართვა, მანდატურის სამსახური სკოლის დირექტორის ან მრჩეველთა საბჭოს მიმართვის საფუძველზე, ასევე თავისი ინიციატივით უფლებამოსილია სკოლაში მიავლინოს მობილური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, სოციალური მუშაკები, მედიატორები, მართლწესრიგის ოფიცერი, ან/და უბნის ინსპექტორი და სხვა სპეციალისტები.

## 2.3 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი

2013 წლიდან ფუნქციონირებს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, რომელიც სთავაზობს ფსიქო-სოციალურ მომსახურებას ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს. ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას მანდატურებთან, სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან. ცენტრის მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც შედგება ფსიქოლოგების, ბავშვთა ფსიქიატრებისა და სოციალური მუშაკებისგან, ეხმარება ბავშვებს, მოზარდებს და მათი ოჯახის წევრებს ქცევითი და ემოციური პრობლემის იდენტიფიკაციასა და მართვაში, კერძოდ:

- იმპულსური ქცევის მართვასა და საკუთარი თავის კონტროლის უნარის გამომუშავებაში;
- აგრესიული ქცევის შემცირებასა და მართვაში;
- ემოციების რეგულაციაში;
- თანატოლებთან პრობლემური ურთიერთობის მოგვარებაში;
- კომუნიკაციის და კონფლიქტების მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
- მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებაში;
- ინტერპერსონალური ურთიერთობების დარეგულირებაში და ა.შ.

ცენტრი ემსახურება 6-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, მათი ოჯახის წევრებს, პედაგოგებს და მანდატურებს. ცენტრის მომსახურებაში შედის: ინდივიდუალური კონსულტაცია, ინდივიდუალური თერაპია, ჯგუფური თერაპია, თემატური ტრენინგპროგრამების შემუშავება და ჩატარება. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებდა 8 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, ხოლო 2019 წელს დაემატა კიდევ 2 ცენტრი.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ესაჭიროება ფსიქოლოგიური მომსახურება, ცენტრს ის 2 გზით უკავშირდება: პირველი – თვითდინებით, ანუ მშობელი ან მოსწავლე რეკავს ცენტრის ცხელ ხაზზე და მეორე – მანდატური სკოლიდან ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს მიმართავს ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

ბულინგის პრევენციისას მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლეების ინფორმირება არა მხოლოდ პრობლემის შესახებ, არამედ იმის შესახებაც, თუ ვის უნდა მიმართონ და რა კონკრეტული სტრატეგია აქვს სკოლას პრობლემის გადასაჭრელად.

პრევენციის პროგრამა ითვალისწინებს 3 დონეს:

**1. სასკოლო დონე:** უკეთეს მეთვალყურეობას დასვენების დროს, ბავშვებისთვის მიმზიდველ სათამაშო ტერიტორიას, პედაგოგიურ დღეებს მშობლების ჩართულობით, სასკოლო კონფერენციის ორგანიზებას პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად.

**2. საკლასო დონე:** საკლასო წესების შემოღება ძალადობის წინააღმდეგ, კლასის საათის გამოყენება ძალადობის თემის დასამუშავებლად, კერძოდ, სოციალური პრობლემის როლური გათამაშების საშუალებით გააქტიურება და გადაჭრის გზების მოძიება.

**3. ინდივიდუალური დონე:** ბულერის ან/და მსხვერპლის მასწავლებლების მომზადება პრობლემაზე სამუშაოდ, კერძოდ, თუ როგორ უნდა წარიმართოს საუბარი ბულინგის ინტერაქციაში ჩართულ პირებთან, მათ მშობლებთან, განისაზღვროს, რამდენად საჭიროებენ ისინი გარეშე დახმარებას, მაგალითად, ფსიქოლოგის, ექიმის და ა.შ.[24]

## 2.4 სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები

უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების შესახებ მოსწავლეთა განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით, სამინისტრო რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. სკოლებში ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის მიზნით ახორციელებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა სწავლებას და გადამზადებას სამოქალაქო და ადამიანის უფლებების სფეროში, ატარებს საინფორმაციო კამპანიებს და შეხვედრებს.

სურათი №2.4.1 სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები




ადამიანის უფლებების შესახებ განათლებასა და ტრენინგებზე გაეროს 2011 წლის დეკლარაციის მიხედვით,[25] ადამიანის უფლებების შესახებ განათლება არის ნებისმიერი ტიპის სწავლება, ტრენინგი, ინფორმაციის გაცვლა და სხვა აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციას. ადამიანის უფლებების შესახებ განათლება, შესაბამისი ცოდნის, უნარების და მიდგომების განვითარებით, ადამიანებს ეხმარება წვლილი შეიტანონ ადამიანის უფლებების შესახებ უნივერსალური კულტურის დამკვიდრებასა და გაძლიერებაში. კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ და სადაც შესაფერისია, სათანადო დონეზე უნდა გააძლიერონ სტრატეგია, პოლიტიკა, სამოქმედო გეგმები და პროგრამები, რათა დანერგონ ადამიანის უფლებების შესახებ განათლება და ჩაატარონ ტრენინგები, სკოლისა და ტრენინგების სასწავლო გეგმაში მათი ინტეგრაციის გზით. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მსოფლიო პროგრამები, ისე – სპეციფიკური ეროვნული და ადგილობრივი საჭიროებები და პრიორიტეტები.

[24] https://befriend.mes.gov.ge/article/?id=adiqcia

[25] https://www.ohchr.org/EN/Issues/Education/Training/Compilation/Pages/UnitedNationsDeclarationonHumanRightsEducationandTraining(2011).aspx

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება: სწავლა-სწავლების მიზნები, თითოეულ საგანში შესაძენი ცოდნა და საგანმანათლებლო პრინციპები, რომელთაც სწავლა-სწავლების მეთოდიკა და შეფასების სისტემა უნდა დაეფუძნოს, აგრეთვე ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და აუცილებელი დატვირთვა, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები.[26]

სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს მასწავლებელთა გადამზადებას, რომლის მიზანია სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების გზით. ცენტრი ხელს უწყობს სკოლებში დემოკრატიული კულტურის დანერგვას, ადამიანის უფლებების სწავლებაზე, დისკრიმინაციის პრევენციასა და უსაფრთხო, ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

არაფორმალური განათლების კუთხით სამინისტრო ატარებს სხვადასხვა კონკურსს და შეხვედრას მოსწავლეებთან, ავრცელებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო სახის ფლაერებს და ბუკლეტებს, ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან ერთად.

## 2.5 საერთაშორისო პრაქტიკა

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოსწავლეთა, დაახლოებით, 4% თვეში რამდენჯერმე არის სხვა მოსწავლეების მხრიდან ფიზიკური ჩაგვრის მსხვერპლი და, დაახლოებით, 11% კი – დაცინვის ობიექტი. კვლევამ აჩვენა, რომ ბულინგის მსხვერპლის ემოციური, ქცევითი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა აფერხებს სწავლაზე კონცენტრაციის უნარს. კვლევის მიხედვით, იმ სკოლის მოსწავლეებს, სადაც ბულინგის შემთხვევები საერთაშორისო სტანდარტზე მაღალია, (მოსწავლეების 10%-ზე მეტი ხშირად არის ბულინგის მსხვერპლი) აქვთ 47 ქულით ნაკლები შედეგები მეცნიერებაში, ვიდრე იმ მოსწავლეებს, რომელთა სკოლებშიც ბულინგის შედარებით ნაკლები შემთხვევები ფიქსირდება (მოსწავლეების 5%-ზე ნაკლები, ხშირი ბულინგის მსხვერპლია).

აკადემიური შედეგების გარდა, ბულინგი უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა ზოგად კეთილდღეობაზე. ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოსწავლეთა დაახლოებით 42% (ვინც ხშირად არის ბულინგის მსხვერპლი) თავს გრძნობს სკოლიდან გარიყულად. ამასთანავე, ბულინგს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს მოსწავლეთა მომავალ განვითარებაზე, რადგან ბულინგის ხშირი მსხვერპლი მოსწავლეების 45% სკოლის დასრულების შემდეგ სწავლის მიტოვებას აპირებს.[27]

[26] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=78, მუხლი 5.

[27] https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264273856 en.pdf?expires=1547648549&id=id&accname=guest&checksum=A1774CC5F5BF8DA0BD89ED1A64BBA08C, თავი 8.

სურათი №2.5.1 ბულინგის უარყოფითი შედეგები

კვლევის მიხედვით, ბულინგის შემთხვევების შემცირება შესაძლებელია სკოლაში მეგობრული ატმოსფეროს შექმნით. მოსწავლეები სტრუქტურიზებულ და მოწესრიგებულ სასწავლო გარემოში თავს უფრო დაცულად გრძნობენ, უმეტესად დაკავებულნი არიან სასკოლო აქტივობებით და ნაკლებად არიან მიდრეკილნი სარისკო ქცევებისკენ. სკოლის დირექტორებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა და მოსწავლეებმა უნდა ითანამშრომლონ ბულინგის შემცირებისა და სასკოლო ატმოსფეროს გაუმჯობესების მიმართულებით.[28]

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) 2017 წლის ანგარიშში, რომელიც ეხება სკოლებში ძალადობასა და ბულინგს, აღნიშნულია, რომ სკოლაში ძალადობასა და ბულინგს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯები აქვს, კერძოდ:[29]

- 2006 წლის გაეროს მსოფლიო ანგარიში „ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ“ ცხადყოფს, რომ სახლში ან სკოლაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მოსწავლეები მომავალში შესაძლოა ჩამოყალიბდნენ პასიურ მოქალაქეებად, უფრო მეტიც – თვითონაც გახდნენ აგრესიულები. სასკოლო ბულინგი ხშირად ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის წინაპირობაა;

- სხვადასხვა კვლევამ აჩვენა სასკოლო ბულინგის გრძელვადიანი ეფექტები. მაგალითად: შეისწავლეს 7,771 ინგლისელი, შოტლანდიელი და უელსელი მოსწავლე, რომლებიც დაიბადნენ 1958 წელს, ერთი კვირის განმავლობაში და 7-11 წლის ასაკში იყვნენ ბულინგის მსხვერპლნი. აღმოჩნდა, რომ 50 წლის ასაკში მათი კვალიფიკაცია და IQ იყო გაცილებით დაბალი, უფრო მეტად უჩიოდნენ ჯანმრთელობას და თვლიდნენ, რომ ჰქონდათ ნაკლებად ადეკვატური სოციალური მხარდაჭერა. ბულინგის ეფექტი 4 ათწლეულის შემდეგაც კი აისახა მათ ჯანმრთელობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე;

- USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებულმა ანალიტიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ სკოლასთან დაკავშირებული მხოლოდ ერთი – გენდერული ნიშნით ძალადობა შესაძლოა გაუთანაბრდეს სკოლის ერთი კლასის გაცდენას, რაც წლიურად, დაახლოებით, 17 მილიარდი დოლარის დანახარჯია საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის;

- აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში (ბავშვთა მიმართ ძალადობით გამოწვეული) ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული ეკონომიკური დანახარჯები რეგიონის წლიური მშპ-ის, დაახლოებით, 1.4%-სა და 2.5%-ს შორის მერყეობს.

---

[28] https://www.oecd-ilibrary.org/docserver/728d6464-en.pdf?expires=1547646424&id=id&accname=guest&checksum=53D57F0BA8CBFA3B1B1F5D35814ED807

[29] https://unesdoc.unesco.org/in/documentViewer.xhtml?v=2.1.196&id=p::usmarcdef_0000246970&file=/in/rest/annotationSVC/DownloadWatermarkedAttachment/attach_import_c08007ed-11b8-4e87-a5e8-d530529b8472%3F_%3D246970eng.pdf&updateUrl=updateUrl6778&ark=/ark:/48223/pf0000246970/PDF/246970eng.pdf.multi&fullScreen=true&locale=en#%5B%7B%22num%22%3A47%2C%22gen%22%3A0%7D%2C%7B%22name%22%3A%22XYZ%22%7D%2C0%2C842%2C0%5D, გვ. 30.

იუნესკოს 2019 წლის ანგარიშის[30] მიხედვით („რიცხვებს მიღმა: სკოლაში ძალადობის და ბულინგის დასასრული“), ზოგიერთ ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი სკოლებში ძალადობისა და ბულინგის შემცირების მიმართულებით, მაშინ როცა სხვა ქვეყნებს აქვთ მიღწევების დაბალი მაჩვენებლები.

იუნესკომ შეისწავლა ზემოთ მითითებული ქვეყნების წარმატების განმსაზღვრელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორები და გააანალიზა ეფექტიანი რეაგირების მექანიზმები, რომლებმაც გავლენა იქონია ბულინგისა და ძალადობის რიცხვის შემცირებაზე.

სურათი №2.5.2 ბულინგის და ძალადობის შემთხვევების შემცირების ტენდენცია და წარმატების ძირითადი ფაქტორები 8 ქვეყნის მაგალითზე




| | ქვეყანა | პერიოდი | ბულინგი | ფიზიკური დაპირისპირება | ფიზიკური თავდასხმა |
|---|---|---|---|---|---|
| | ესვატინი | 2003-2013 | 7,5% | 7,4% | |
| | იტალია | 2002-2014 | 12,1% | | |
| | იამაიკა | 2010-2017 | 14,7% | 15,5% | 16,9% |
| | კორეა | 2014-2018 | 17,4% | | |
| | ლიბანი | 2005-2017 | 16,4% | 5,7% | 19,6% |
| | ნიდერლანდები | 2002-2014 | 7% | | |
| | შვედეთი | 2002-2014 | 2.1% | | |
| | ურუგვაი | 2006-2012 | 3.9% | 6,3% | 4,3% |




კვლევის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ბულინგის შესამცირებლად განხორციელდა შემდეგი აქტივობები, რომლებმაც მოიტანა ეფექტიანი შედეგი მთელ რიგ ქვეყნებში: განისაზღვრა პოლიტიკის დოკუმენტები არასრულწლოვნებში ძალადობის შესამცირებლად, განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემისა და მნიშვნელოვანი მხარეების თანამშრომლობა მოცემული მიმართულებით, სკოლების დონეზე შემუშავდა სამოქმედო გეგმები ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ინტერვენციისათვის, დაიწყო სკოლებში მომხდარი ძალადობის ფაქტებზე ინფორმაციის შეგროვება მონაცემთა ბაზების სახით, რის საფუძველზეც  გაანალიზდა ეს მონაცემები და შედეგად შემუშავდა შესაბამისი მონიტორინგის მექანიზმები, განხორციელდა მასწავლებლების კონტიგენტის პროფესიული გადამზადება ბულინგის პრევენციის მიმართულებით, სწავლა-სწავლების ეტაპზე მოხდა მოსწავლეების პოზიტიურ გარემოზე ფოკუსირება, ეროვნულ დონეზე წინ წამოიწია ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებმა, შესწავლილი იქნა მოსწავლეების პრობლემები და ხელი შეეწყო მათ მოგვარებას შესაბამისი ფსიქოლოგიური მხარდაჭერით, პრობლემის აღმოსაფხვრელად პროცესში ჩაერთვნენ მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები.

30 https://unesdoc.unesco.org/in/documentViewer.xhtml?v=2.1.196&id=p::usmarcdef_0000366483&file=/in/rest/annotationSVC/DownloadWatermarkedAttachment/attach_import_6db51499-903e-4fa1-a4ce-dbc9f5e3b2c3%3F_%3D366483eng.pdf&updateUrl=updateUrl9640&ark=/ark:/48223/pf0000366483/PDF/366483eng.pdf.multi&fullScreen=true&locale=en#2423_18_Bullying_EN_INT.indd%3A.71515%3A274, გვ. 48.

# აუდიტის მიგნებები

## 3. უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად საჭირო რესურსების მართვა

### 3.1 სკოლებში მანდატურების განაწილების ნაკლოვანებები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის სათანადო ხარისხით განხორციელების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია მოსწავლის უსაფრთხოება. სამინისტრომ და მისმა დაქვემდებარებულმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ სკოლაში მაქსიმალურად უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო. სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და დაიცვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.[31]

2010 წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ევალება სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს.

2018 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებდა 2,302 სკოლა, სადაც ირიცხებოდა 580,355 მოსწავლე. 486 სკოლა, ანუ სკოლების 21%, უზრუნველყოფილი იყო მანდატურით. აღნიშნულ სკოლებში ირიცხება მოსწავლეების სრული რაოდენობის 61%. რეგიონების მიხედვით, 2019 წლამდე მანდატური არ იყო წარმოდგენილი მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმში. 2019 წელს მანდატური დაემატა აღნიშნული რეგიონის 2 სკოლას.

დიაგრამა №3.1.1 2018 წელს მანდატურის სამსახურის მიერ დაფარული სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობა




[31] https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=79, მუხლი 9.

მანდატურის რესურსი შეზღუდულია და ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი. ამავე დროს, მანდატურის სამსახურს აუდიტის პერიოდისთვის არ ჰქონდა შემუშავებული სკოლებში მანდატურის განაწილების კრიტერიუმები, რაც ზრდის რესურსის არაპროდუქტიულად განაწილების რისკებს.

2019 წლიდან მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,[32] რომლის მიხედვით, მანდატურების სკოლებში განაწილება და როტაცია ხორციელდება სკოლის ინფრასტრუქტურის, სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობის, მოსწავლეთა რაოდენობის, მანდატურების სქესისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელსაც განსაზღვრავს მანდატურის სამსახურის უფროსი, თუმცა აღნიშნული კრიტერიუმები 2019 წლის 19 ნოემბრამდე არ იყო განსაზღვრული დეტალურად[33] და აუდიტის მიმდინარეობისას დამტკიცდა.[34]

მანდატურის განაწილებისას არ იყო გათვალისწინებული მოსწავლეთა რაოდენობა და დარღვევების სტატისტიკა სკოლაში. 2018 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით იყო 70 ისეთი საჯარო სკოლა, სადაც თითოეულში მოსწავლეთა რაოდენობა აჭარბებდა 300-ს და იქ არ იყო წარმოდგენილი მანდატური, მაშინ როცა, 7 სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 100-ზე ნაკლებია, წარმოდგენილია მანდატური. აღნიშნული 70 საჯარო სკოლიდან 2019 წელს მანდატურის სამსახური შევიდა 38 სკოლაში.

სკოლებში მანდატურების განაწილების პროცესში ერთ-ერთ კრიტერიუმად არ იყო განხილული სკოლების მიერ დაფიქსირებული მოსწავლეებს შორის მომხდარი ინციდენტები და სკოლის ტერიტორიაზე მომხდარი დარღვევები.

მანდატურის სამსახური აღნიშნულ ინფორმაციას ფლობს მხოლოდ იმ სკოლებზე, სადაც უკვე წარმოდგენილია მანდატური ან/და უფლებამოსილი პირი, ხოლო ისეთი სკოლებისათვის, სადაც არც მანდატურია და არც უფლებამოსილი პირი, მსგავსი ტიპის ინფორმაციის წარმოება ნებაყოფლობითია. აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვებით გამოვლინდა, რომ გამოკითხული სკოლების 55% არ აღრიცხავს ინფორმაციას სკოლის ტერიტორიაზე მომხდარი დარღვევების შესახებ.

დიაგრამა №3.1.2 სკოლებში დაფიქსირებული დარღვევების კატეგორიები, სადაც მუშაობს მანდატურის სამსახური




[32] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4363684?publication=0

[33] არ არის მითითებული, მაგალითად, კრიტერიუმში – „მოსწავლეების რაოდენობა“, რამდენი მოსწავლე იგულისხმება და ა.შ.

[34] „სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2019 წლის 19 ნოემბრის №132 ბრძანება „სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განაწილებისა და როტაციის წესის განსაზღვრის შესახებ“

რაც შეეხება იმ სკოლებს, სადაც ამ ეტაპისთვის არ არის შესული მანდატურის სამსახური, მოსწავლეებს შორის მომხდარი ინციდენტების სტატისტიკა[35] შემდეგია: 2018 წელს 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ინციდენტების რაოდენობა გაზრდილია 1,9-ჯერ, ხოლო 2016 წელთან შედარებით – 4-ჯერ. ამავე წლებში, 80 სკოლაში დაფიქსირდა 307 შემთხვევა, რომელთა შორის, 11 – სხეულის დაზიანება იყო. აღსანიშნავია, რომ ინციდენტების 28% მოდის არაეთიკურ ქმედებაზე, 25% – სიტყვიერ, ხოლო 20% – ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. მოცემული ინციდენტებიდან დაფიქსირდა 19 ისეთი შემთხვევა, როდესაც საჭირო გახდა სკოლებს რეაგირებისთვის მიემართათ შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებებისათვის.

დიაგრამა №3.1.3 სკოლებში დაფიქსირებული დარღვევების კატეგორიები, სადაც არ მუშაობს მანდატურის სამსახური




გარდა ამისა, აუდიტის პერიოდისთვის მანდატურის სამსახურის მიერ მანდატურთა განაწილების პროცესში არ იყო გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკაც. მსგავსი ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სამსახური სათანადოდ არ თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან. მაგალითად, არ არის შესწავლილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური პროკურატურის მონაცემები არასრულწლოვანთა ინციდენტების შესახებ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2016 წლიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელდა განრიდების[36] 1,531 შემთხვევა, ხოლო დევნა[37] დაწყებულია 1,671 შემთხვევაზე. მოცემული დარღვევების 69% მოდის ქურდობაზე. დანაშაულის სტატისტიკა მზარდია წლების მიხედვით.

აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მანდატურის სამსახურს ექნება შესაძლებლობა, გამოავლინოს ის არასრულწლოვნები, რომლებიც ამავდროულად სკოლის მოსწავლეები არიან და გაითვალისწინოს დაფიქსირებული შემთხვევების სახეობები და სტატისტიკა სკოლებში მანდატურების განაწილებისას.

---

[35] იგულისხმება მხოლოდ ის საჯარო სკოლები, რომლებიც აწარმოებენ სტატისტიკას.

[36] პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც იყენებს პროკურორი.

[37] პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების შედეგად შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე სცნოს პირი ბრალდებულად ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, რა დროსაც იგი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.

დიაგრამა №3.1.4 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა




ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურთან შუამდგომლობის თხოვნით მიმართავს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომელიც წერილობით აცნობებს მანდატურის სამსახურს აღნიშნული სკოლისთვის მანდატურის გამოყოფის თაობაზე. სკოლა, რომელიც ითხოვს მანდატურს, მაგრამ მანდატურის სამსახურის მიერ არ არის გათვალისწინებული მომავალი წლის გეგმაში, დამატებითი კომისიური განხილვისა და გადაწყვეტილების გარეშე იღებს უარს მანდატურის გამოყოფის თაობაზე.

2016-2018 წლებში 17-მა საჯარო სკოლამ მანდატურის სამსახურიდან მოითხოვა მანდატურის გამოყოფა, მათგან 10 სკოლა არ არის დღემდე დაკმაყოფილებული. აქედან, 2 სკოლაში განმეორებითი ხასიათი ჰქონდა მოსწავლეებს შორის მომხდარ ინციდენტებს.

დიაგრამა №3.1.5 მანდატურის მოთხოვნა სკოლების მხრიდან




2019 წლიდან იმ სკოლების ნაწილში, სადაც არ არის მანდატური წარმოდგენილი, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ახორციელებს უფლებამოსილი პირი.

2019 წლის მარტის მდგომარეობით, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი წარმოდგენილი იყო კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონის 132 საჯარო სკოლაში, სადაც მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა შეადგენს 26,539-ს. მანდატურებისაგან განსხვავებით, უფლებამოსილი პირები არ არიან აღჭურვილნი მეტალოდეტექტორებით.[38]

ზემოთ განხილული კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, მანდატურის სამსახურს მიეცემოდა შესაძლებლობა, დროულად გამოევლინა მაღალი რისკის მატარებელი სკოლები და დაეგეგმა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

## 3.2 სკოლების ვიდეოკამერებით აღჭურვის ნაკლოვანებები

სკოლაში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია სკოლის ვიდეოკამერებით აღჭურვა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების მიხედვით, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვა. აღნიშნული წესი ამოქმედდა 2019 წლიდან. შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლის ყველა დერეფნის, შესასვლელისა და კიბის უჯრედის ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სკოლის გარე პერიმეტრის (მათ შორის, სპორტული მოედანი, ბაღი, სკვერი და სხვ.) სრულად ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სკოლა ვალდებულია იზრუნოს სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე და მანდატურის ან მანდატურის სამსახურის მიმართვის შემთხვევაში, უზრუნველყოს ყველა იმ ხარვეზის გამოსწორება და პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მანდატურის მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემით სარგებლობისას.

2018 წლის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 43% (ანუ 991 სკოლა) აღჭურვილია ვიდეოკამერებით, თუმცა, მანდატურის სამსახურს არ აქვს ინფორმაცია გამართულად მუშაობს და აკმაყოფილებს თუ არა ვიდეოკამერების რეალური მდგომარეობა დადგენილი წესის მოთხოვნებს, ვინაიდან სამსახურის მიერ არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები, რომლითაც განხორციელდებოდა აღნიშნული საკითხის მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ ვიდეოკამერებით აღჭურვილია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 44%, რომლებიც ასევე უზრუნველყოფილი არიან მანდატურებით.

2018 წლის მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით 1,161 სკოლაში (50%) არ არის წარმოდგენილი მანდატური ან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი და ამავდროულად, ეს სკოლები არ არის აღჭურვილი ვიდეოკამერებით.

[38] წესის მიხედვით, უფლებამოსილი პირების მეტალოდეტექტორებით აღჭურვა მანდატურის სამსახურმა უნდა განახორციელოს 2019 წლის 15 სექტემბრამდე.

ცხრილი №3.2.1 სკოლები, სადაც 2018 წლის მონაცემებით არ არის წარმოდგენილი მანდატური, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და არ არის დამონტაჟებული ვიდეოკამერები

| რეგიონი | სკოლების რაოდენობა | მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| აჭარა | 79 | 8,807 |
| გურია | 79 | 8,073 |
| თბილისი | 2 | 348 |
| იმერეთი | 280 | 24,499 |
| კახეთი | 33 | 2,962 |
| მცხეთა-მთიანეთი | 61 | 4,688 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 63 | 2,459 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 154 | 15,458 |
| სამცხე-ჯავახეთი | 151 | 11,906 |
| ქვემო ქართლი | 178 | 25,762 |
| შიდა ქართლი | 81 | 7,201 |
| სულ: | 1,161 | 112,163 |

აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დათვალიერების მიზნით შეარჩია ქ. თბილისის 10 საჯარო სკოლა, სადაც 2016-2018 წლებში დაფიქსირდა დარღვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.[39] ყველა შერჩეულ სკოლაში მიმდინარეობდა ვიდეოკონტროლი, თუმცა სკოლის სრული პერიმეტრის კონტროლი კამერებით ვერ ხორციელდებოდა. რიგ შემთხვევებში ვიდეოკამერების ხილვადობა არ იყო სათანადო, ვერ ხერხდებოდა ჩანაწერების გაკეთება და მხოლოდ ცოცხალ რეჟიმში იყო შესაძლებელი ვიდეოკონტროლი. შერჩეული სკოლების უმეტესობაში ვიდეოკამერების რაოდენობა არ არის საკმარისი და საჭიროა დამატებითი აღჭურვა.

აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა მანდატურების გამოკითხვებიდანაც. კითხვაზე, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს სკოლამ უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, გამოკითხული მანდატურების 18%-მა უპასუხა, რომ მნიშვნელოვანია სკოლებში ვიდეოკამერების დამატება.

სკოლებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების გამართულად ფუნქციონირების მონიტორინგის მიზნით, არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, შესაბამისად, არ არსებობს სრული და სანდო ინფორმაცია, რა ხარისხით კონტროლდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა და გარე პერიმეტრები.

## 3.3 ფსიქოლოგიური მომსახურების ნაკლოვანებები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომხდარი ინციდენტები გარკვეულ შემთხვევაში საჭიროებს სიღრმისეულ ანალიზს და მოსწავლის რეფერირებას ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში. 2016-2018 წლებში სააგენტოში რეფერირებულია 914 შემთხვევა.

[39] მონაცემი მოიცავს შემდეგ დარღვევებს: აკრძალული ნივთები, ფიზიკური შეურაცხყოფა, ალკოჰოლი, ასაფეთქებლის გამოყენება, აზარტული თამაშები, სხეულის დაზიანება, ნარკოტიკი, ძალადობის მუქარა.

2018 წლის მონაცემებით, მანდატურის სამასახურის ფსიქოლოგიური მომსახურების 8 ცენტრი წარმოდგენილია ქვეყნის მასშტაბით 7 ქალაქში. ესენია: თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი, რუსთავი. აღნიშნულ ფსიქოლოგიურ მომსახურების ცენტრებში დასაქმებულია 39 ფსიქოლოგი, 11 სოციალური მუშაკი, 2 ფსიქიატრი და ერთი კოორდინატორი. 2019 წლიდან ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრები დაემატა ქალაქ ზუგდიდსა და ახალციხეში.

სურათი №3.3.1 2019 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით არსებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები

რეგიონების მიხედვით ფიქსირდება შემთხვევები, სადაც სკოლების მიერ გადამისამართებულია მოსწავლე ფსიქოლოგიური მომსახურების მისაღებად, თუმცა მოცემულ რეგიონში არ ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, რაც აფერხებს აღნიშნულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას. აუდიტის ობიექტის განმარტებით, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთ რეგიონში არ არის წარმოდგენილი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები, საჭიროების შემთხვევაში მომსახურების მიღება ხორციელდება მეზობელ რეგიონებში არსებულ ცენტრებში. გურიის რეგიონს ემსახურება აჭარის ცენტრი, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონს – სამეგრელო-ზემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონს – თბილისის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები.

გარდა ამისა, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში დასაქმებული პერსონალის განაწილება არ შეესაბამება მათ დატვირთვას: იქ, სადაც მაღალია მოსწავლეთა მიმართვიანობა, ნაკლები ფსიქოლოგია დასაქმებული იმ ცენტრთან შედარებით, სადაც დაბალია აღნიშნული მაჩვენებელი.

ცხრილი №3.3.1 მიმართვიანობა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში 2016-2018 წლებში

| რეგიონი | მიმართვიანობა 2016-2018 წწ | ცენტრში დასაქმებულთა რაოდენობა | საშუალო მიმართვიანობა წელიწადში | მიმართვიანობა ერთ დასაქმებულზე |
|---|---|---|---|---|
| აჭარა | 578 | 5 | 193 | 39 |
| გურია | 31 | - | - | - |
| თბილისი | 4,024 | 30 | 1,341 | 45 |
| იმერეთი | 763 | 8 | 254 | 32 |
| კახეთი | 180 | 1 | 60 | 60 |
| მცხეთა-მთიანეთი | 51 | - | - | - |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1 | - | - | - |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 268 | 2 | 89 | 45 |
| სამცხე-ჯავახეთი | 60 | - | - | - |
| ქვემო ქართლი | 506 | 4 | 169 | 42 |
| შიდა ქართლი | 426 | 4 | 142 | 36 |
| არ არის იდენტიფიცირებული | 61 | - | - | - |
| სულ: | 6,949 | 54 | 2,317 | 43 |

2016-2018 წლებში ცენტრში 6,951 შემთხვევაზე შევიდა შეტყობინება. მოსწავლეთა მიმართვიანობა გაზრდილია წლების მიხედვით. მიმართვიანობა 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, 61%-ით გაიზარდა, ხოლო 2018 წელს 2017 წელთან შედარებით − 17%-ით. 2019 წლის 6 თვეში ცენტრში შესული შეტყობინებების რაოდენობამ შეადგინა 1,932 ერთეული.

დიაგრამა №3.3.1 მიმართვიანობა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში




მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში შესული შემთხვევების 72% რეფერირებულია სკოლიდან, თვითდინებით მიმართვა კი მხოლოდ 28%-ია, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მშობლების ცნობიერების დაბალი დონითა და მოსწავლეთა საჭიროების არასათანადოდ შეფასებით. ამასთანავე, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ აღნიშნული მიმართულებით არ არის განხორციელებული აქტივობები.

სურათი №3.3.2 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი




ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში თითოეულ რეფერირებულ შემთხვევაზე დეტალური ინფორმაციის მიღება ინდივიდუალური საქმის დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. კერძოდ, მონაცემთა ბაზა, რომელსაც ფლობს მანდატურის სამსახური, არ მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა, ცენტრში მოხვედრილი მოსწავლისთვის ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა და თარიღები, შემთხვევის დასრულების თარიღები და მიღებული მომსახურების შედეგად მიღწეული შედეგები.

აუდიტის ჯგუფმა შემთხვევითობის პრინციპით შეარჩია და შეისწავლა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ განხორციელებულ 76 ფაქტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. 76 მოთხოვნილი შემთხვევიდან 14 მათგანთან (18%) დაკავშირებით ვერ მოხერხდა დოკუმენტაციის მოძიება, 26 შემთხვევაში (34%) – მოსწავლის მხრიდან უარი იყო ფსიქოლოგის მომსახურების მიღებაზე, ხოლო 36 შემთხვევაში წარმოდგენილია ინდივიდუალური ბარათები. დოკუმენტაცია არ არის სრულად შევსებული და უმეტეს შემთხვევაში ვერ ხერხდება ინფორმაციის მიღება, თუ რა სახის სამუშაო ჩატარდა ბენეფიციართან, როგორ მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება და რა შედეგები მიიღო მოსწავლემ კონსულტაციების შედეგად. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ძირითადად არ ჩანს ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა.

36 შემთხვევიდან 17 შემთხვევაში (47%) დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მოსწავლის მდგომარეობა გაუმჯობესდა. შესწავლილი კონსულტაციებიდან 19 შემთხვევაში, მოსწავლე რეფერირებულია სკოლიდან, ხოლო 13 შემთხვევაში – ცენტრს მიმართეს თვითდინებით.

სურათი №3.3.3 ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის შესწავლილი დოკუმენტაცია



აუდიტის ჯგუფმა გამოჰკითხა შერჩეული 207 სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და მშობელი. გამოკითხული დირექტორების 18%-ს არ აქვს ინფორმაცია ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის არსებობის შესახებ. 83 სკოლის დირექტორიდან, რომელიც ფლობს ინფორმაციას ცენტრის შესახებ, 82%-ს არ მიუმართავს აღნიშნული ცენტრისთვის მოსწავლის გადამისამართების მიზნით.

გამოკითხული მშობლების 20% არ ფლობს ინფორმაციას ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის არსებობის შესახებ, ხოლო ინფორმირებული მშობლების მხოლოდ 13%-ს მიუმართავს აღნიშნული ცენტრისთვის.

სურათი №3.3.4 სკოლის ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგები




მომსახურების მიღებაზე მშობელთა უარი, ასევე სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლების არასრულად ინფორმირებულობის დონე მიუთითებს, რომ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია ცნობიერების ამაღლების კუთხით.

## დასკვნა

აუდიტის პერიოდში მანდატურის სამსახურის მიერ სკოლებში მანდატურების განაწილებისას უგულებელყოფილი იყო ისეთი ხარისხობრივი კრიტერიუმები, როგორიცაა, სკოლებში დაფიქსირებული მოსწავლეთა შორის ინციდენტები და არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა. აღნიშნული, კონკრეტული რაოდენობრივი კრიტერიუმების არარსებობასთან ერთად, აფერხებს მაღალი რისკის მატარებელი სკოლების დროულად გამოვლენას და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას. კრიტერიუმების ნაკლებობა ზრდის რესურსის არაპროდუქტიულად განაწილების რისკებს.

დანერგილი კონტროლის მექანიზმები სკოლებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების გამართულად ფუნქციონირების მონიტორინგის მიზნით, ვერ უზრუნველყოფს სრული და სანდო ინფორმაციის არსებობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა და გარე პერიმეტრების უსაფრთხოების შესახებ.

ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები რეგიონების მიხედვით არ არის განაწილებული სკოლებისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ასევე არ არის გათვალისწინებული ცენტრებში ფსიქოლოგთა განაწილებისას მიმართვიანობა. აღნიშნული ფაქტორები

ზრდის მომსახურების ხელმისაწვდომობის შეზღუდვისა და რესურსის არაპროდუქტიულად გამოყენების რისკებს. ამასთანავე, არ არის სისტემატიზებული ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ ჩატარებული კონსულტაციების დოკუმენტაცია და მონაცემთა ბაზები, შესაბამისად, შეუძლებელია გაანალიზდეს და შეფასდეს კონსულტაციების შედეგად მოსწავლეებისთვის მიღწეული შედეგები.

## რეკომენდაციები მანდატურის სამსახურს:

### რეკომენდაცია N 1.

სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების გათვალისწინებით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასდეს გარემო და მოხდეს მანდატურის რესურსის პროდუქტიული განაწილება.

### რეკომენდაცია N 2.

მანდატურის სამსახურმა სკოლებთან და სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებასთან თანამშრომლობით, მიიღოს და გააანალიზოს ინფორმაცია არასრულწლოვანთა შორის ინციდენტების და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რისი მეშვეობითაც შეძლებს გამოავლინოს მაღალი რისკის მატარებელი სკოლები და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

### რეკომენდაცია N 3.

მანდატურის სამსახურმა შეიმუშავოს მექანიზმი, რომლის მიხედვით, გადაუდებელი და დასაბუთებელი საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სკოლისთვის მანდატურს, მიუხედავად იმისა, აღნიშნული სკოლა გათვალისწინებული იყო თუ არა წლიურ გეგმაში.

### რეკომენდაცია N 4.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, დაინერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც მოხდება დამონტაჟებული ვიდეოკამერების გამართულად ფუნქციონირების პერიოდული მონიტორინგი, შეფასდება მათი საჭირო რაოდენობა და შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლის შესაძლებლობა.

### რეკომენდაცია N 5.

ფსიქოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით:

- თითოეული რეგიონის მიხედვით სკოლებისათვის განისაზღვროს უახლოესი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, სადაც მოსწავლე ოპტიმალურად მოკლე მანძილზე შეძლებს მიიღოს საჭირო მომსახურება;

- ფსიქოლოგთა რესურსის პროდუქტიულად გამოყენების მიზნით, მათი ცენტრებში განაწილებისას გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლეთა მიმართვიანობის მაჩვენებელი. ასევე ფსიქოლოგიური მომსახურებიდან მიღწეული შედეგის შეფასების მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს ცენტრის მიერ ჩატარებული კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის სრულად ასახვა.

# 4. ცნობიერების ამაღლების კუთხით გატარებული ღონისძიებები

## 4.1 ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ნაკლოვანებები

2010 წელს ევროსაბჭომ მიიღო ქარტია „სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაზე“, რომლის მიხედვით, ადამიანის უფლებების შესახებ განათლება ყველა ტიპის განათლების პროგრამაში უნდა იყოს გათვალისწინებული, როგორიცაა: ფორმალური და არაფორმალური განათლება, დაწყებითი განათლება, სასკოლო განათლება, უმაღლესი განათლება და პროფესიული განათლება.[40]

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისი 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ამოცანაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების ინტეგრირება.

ეროვნული სასწავლო გეგმა ერთ-ერთი უმთავრესი საკანონმდებლო დოკუმენტია, რომელსაც საქართველოს განათლების სისტემა ეფუძნება. მასში ჩამოყალიბებულია სწავლისა და სწავლების პრინციპები, რომლებიც ზოგადი განათლების განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს. ეროვნულ სასწავლო გეგმას ეფუძნება მასწავლებელთა გადამზადების ტრენინგმოდულები და გრიფირებული სახელმძღვანელოები.

ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა საგანში უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების საკითხებს:

- III-IV კლასებისთვის განკუთვნილი საგანი – „მე და საზოგადოება“, რომელსაც დათმობილი აქვს კვირაში 2 საათი, ფარავს შემდეგ საკითხებს: რა უფლებები და მოვალეობები აქვს მოსწავლეს სკოლაში; რატომ და როგორ უნდა იყოს ყველა ბავშვის უფლებები დაცული?

- 2019-2020 სასწავლო წლიდან ქართულენოვანი სკოლების VII კლასებში დაიწყო საგნის – „მოქალაქეობის“ სწავლება, კვირაში ორსაათიანი დატვირთვით;

- სამოქალაქო განათლება ისწავლება VIII-XII კლასებში და მასზე გათვალისწინებულია კვირაში 0,5-3.0 სასწავლო საათი;

- სამოქალაქო და ადამიანის უფლებების, ასევე უსაფრთხო სკოლის შესახებ მნიშვნელოვანი საკითხებია განხილული IX-X კლასის სახელმძღვანელოებში.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ფარავს უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების საკითხებს, ისწავლება მე-3 კლასიდან სხვადასხვა

[40] https://rm.coe.int/16803034e3

საგნობრივ ჭრილში და დათმობილი საათების რაოდენობით უტოლდება ევროპის ქვეყნების მაჩვენებელს, ზემოთ ჩამოთვლილი საგნების მოდულების ანალიზიდან იკვეთება შემდეგი ნაკლოვანებები:

- ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა გამოცემის სახელმძღვანელოში განსხვავებული მოცულობით არის განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის უფლებების კონვენცია, მოსწავლის უფლებები და ა.შ.

- ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, VII კლასამდე არ მიეწოდებათ მოსწავლეებს ინფორმაცია ბულინგის შესახებ.

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“.[41] დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს (SDGs) და 169 ამოცანას. საქართველო გაეროს სხვა ქვეყნებთან ერთად ჩართულია გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელების პროცესში. მდგრადი განვითარების მე-4 მიზანია  ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.

უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს მიერ კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

არაფორმალური განათლების კუთხით, 2016 წლიდან სამინისტრომ ჩაატარა სლოგანების, კონცეფციებისა და ფლეშმობების კონკურსები, ასევე ვიდეორგოლების და მოსწავლეთა დღიურების კონკურსები. გარდა ამისა, ჩატარდა შეხვედრები მოსწავლეებთან, სადაც საუბრობენ ბულინგის გამომწვევ მიზეზებსა და მისი გადაჭრის გზებზე. დაიბეჭდა საინფორმაციო/საგანმანათლებლო სახის ფლაერები და სანიშნეები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვისა და მასწავლებლებისთვის, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას ძალადობის იდენტიფიცირებასთან, ძალადობის ფაქტების გამოვლენასა და რეაგირებასთან, ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციასთან და ძალადობის შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით.

განათლების სამინიტრომ შსს-სა და პროკურატურასთან ერთად განახორციელა შემდეგი პროექტები: მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის –  „არა, ძალადობას!“, იმიტირებული გამოძიება, სამოქალაქო განათლებისა და სამართლებრივი განათლების პროგრამა საქართველოში (PH International) და სხვ.

ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წელს სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილია და სატესტო რეჟიმში მუშაობს ვებგვერდი. აღნიშნულ ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია ძალადობის შესახებ, ანონიმური ტესტები, საინფორმაციო სტატიები, საერთო რეკომენდაციები, ონლაინკონსულტაცია ბავშვებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისათვის, მშობლების ჯგუფი, მეგობრის დახმარება, ბავშვთა უფლებების კონვენცია და სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტები, ბანერები, პოსტერები, ცხელი ხაზი და სხვ.

[41] http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.XcGM41UzbIU

აუდიტის ობიექტის განმარტებით, ვებგვერდის ფუნქციონირების აქტიურ რეჟიმში გადასვლა იგეგმებოდა 2019 წლის ბოლოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ვებგვერდი 2018 წლიდან მუშაობს, კონტაქტის სერვისით ისარგებლა მხოლოდ ერთმა მომხმარებელმა, ხოლო ვებგვერდის მომხმარებლების საერთო რაოდენობა პორტალზე არ ჩანს. მომხმარებელთა დაბალი აქტივობა შესაძლოა გამოწვეული იყოს სამინისტროს მიერ ვებგვერდის პოპულარიზაციის მიზნით არასაკმარისი აქტივობების ჩატარებით.

მნიშვნელოვანია, გაიზარდოს სკოლების და რესურსცენტრების ინფორმირებულობა. გარდა ამისა, სამინისტრო  უნდა ახორციელებდეს მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების ანალიზს, რათა შეფასდეს ჩატარებული საინფორმაციო კამპანიების შედეგები.

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო რესურსების ფარგლებში გამოცემულია მასწავლებლის წიგნი „უსაფრთხო სკოლა“, რომელიც ყველა სკოლას დაურიგდა და ასევე ონლაინ რეჟიმში შესაძლებელია მისი ჩამოტვირთვა. გარდა ამისა, ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“ აქვეყნებს სხვადასხვა სტატიებს სამოქალაქო განათლებისა და უსაფრთხოების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს მიერ გარკვეული ღონისძიებები ტარდება მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით, აღნიშნული აქტივობები არასაკმარისია და საჭიროა ყველა მხარის მაქსიმალურად ჩართვა პროცესში.

სამინისტროს მხრიდან კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების საჭიროებაზე მიუთითებს აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკითხვებიც: გამოკითხული მანდატურების 44% თვლის, რომ სკოლაში უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის სკოლამ უნდა იმუშაოს მშობლების მეტად ჩართულობის და მათთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიმართულებით.

სურათი №4.1.1 მანდატურების გამოკითხვის შედეგები




დაინტერესებული მხარეები: სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლის მშობლები, მასწავლებლები, მანდატურის სამსახური – კომპლექსურად უნდა მუშაობდნენ უსაფრთხოების მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისთვის. სამინისტროს მიერ არ ჩატარებულა მასობრივი საინფორმაციო კამპანია სკოლებში ბულინგისა და ინციდენტების აღმოფხვრის მი-

მართულებით, ამასთანავე, არ არის განხორციელებული აქტივობა, სადაც მოსწავლეთა მშობლები და სკოლა ერთად იმუშავებდნენ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის გზების ძიების მიმართულებით. გარდა ამისა, სამინისტრო არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას ყველა განხორციელებული ღონისძიების შესახებ. სამინისტროს არ აქვს გაწერილი დეტალური ინდიკატორები, არ ხდება განხორციელებული აქტივობების შედეგების გაზომვა და იმის შეფასება, მიღწეულ იქნა თუ არა დასახული მიზნები.

## 4.2 მასწავლებელთა გადამზადების ნაკლოვანებები

ევროსაბჭოს ქარტიის მიხედვით,[42] წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მასწავლებლები, განათლების სფეროში დასაქმებული პერსონალი და ტრენერები სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ აუცილებელი დაწყებითი და განგრძობითი ტრენინგებით. აღნიშნულმა უნდა უზრუნველყოს, რომ მათ შეიძინონ საფუძვლიანი ცოდნა და აღქმა სფეროსა და სწავლა-სწავლების მეთოდების ძირითადი ამოცანების და პრინციპების შესახებ, ისევე როგორც თავიანთი სფეროს შესაფერისი სხვა საკვანძო უნარები.

ევროკომისიის დოკუმენტის[43] მიხედვით ის კომპეტენციები, რომლებიც სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს მოეთხოვებათ, ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს აქტიურ და პასუხისმგებლიან მოქალაქეობას. აღნიშნული კომპეტენციები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- **საგნის ცოდნა** – უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლებს მოეთხოვებათ საგნის ცოდნა, ვინაიდან ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელია მათ შეძლონ სასწავლო მიზნების შერჩევა და მათ მისაღწევად აქტივობების დაგეგმვა.

- **სასწავლო გეგმის შინაარსი** – მასწავლებლებს ასევე მოეთხოვებათ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული დამატებითი საკითხების შესახებ ცოდნაც. მაგალითად: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული საკითხები, ასევე დემოკრატიის ინსტიტუციონალური ჩარჩო, კონსტიტუცია, ადამიანთა და სამოქალაქო უფლებები.

- **სწავლების მეთოდები** – სამოქალაქო განათლების ტრენინგების უმნიშვნელოვანესი სფერო სწავლების მეთოდების სწორი სახეობების განსაზღვრაა და იმის შესწავლა, თუ როგორ და როდის უნდა გამოიყენონ ისინი.

- **მართვა და უნარ-ჩვევები** – მასწავლებლებს ასევე სჭირდებათ განავითარონ სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები. მაგალითად: როგორ დაამყარონ კავშირები და ჩაერთონ ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმიანობაში, როგორ გაამხნევონ მოსწავლეები და ჩართონ ისინი სასკოლო ცხოვრებაში, როგორ გაუმკლავდნენ პოტენციურად სადავო და სენსიტიურ თემებს და ა.შ.

- **ასახვა და განვითარება** – სამოქალაქო განათლება დინამიკური პროცესია, რადგან ის დაფუძნებულია იმაზე, თუ რა ხდება საზოგადოებაში, ასევე, როგორია ინდივიდების საზოგადოებასთან ურთიერთობა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მასწავლებელთა პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარების ტრენინგით.

---

[42] https://rm.coe.int/16803034e3

[43] https://rm.coe.int/16802f7279

მასწავლებელთა საჭირო ტრენინგებით უზრუნველყოფას ახორციელებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2018 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 66,371 მასწავლებელი, რომელთა 87%-ს არ აქვს გავლილი ტრენინგი სამოქალაქო და უსაფრთხოების მიმართულებით, ხოლო სამოქალაქო განათლების 4,630 მასწავლებლიდან, ტრენინგი გავლილი აქვს 1,085 მასწავლებელს, ანუ მხოლოდ 23%-ს.

2016-2019 წლებში ცენტრმა მოსწავლეთა უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების მიმართულებით ჩაატარა შემდეგი ტრენინგები:

- დემოკრატიული კულტურა სკოლაში;
- რთული ქცევის მართვა;
- სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ მოსწავლეთა ინტეგრაციისათვის სასკოლო საზოგადოებაში;
- სწავლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ.

სურათი №4.2.1 მასწავლებელთა ტრენინგები




სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა ტრენინგის ფარგლებში, რომლის მიზანია მსმენელებისთვის სკოლაში პოზიტიური სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნის მნიშვნელობისა და საშუალებების, ბულინგის პრევენციისა და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებისა და აქტივობების გაცნობა. 3 წლის განმავლობაში გადამზადდა 6,367 მასწავლებელი (მათგან 90% გადამზადდა 2018 წელს – 5,733 მასწავლებელი). ტრენინგმოდულის ხანგრძლივობაა 24 საკონტაქტო საათი.

ცხრილი №4.2.1 2016-2018 წლებში გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

| რეგიონი | მასწავლებელთა რაოდენობა | ტრენინგი გავლილი აქვს | ტრენინგების მაჩვენებელი | სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა რაოდენობა | ტრენინგი გავლილი აქვს | ტრენინგების მაჩვენებელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჭარა | 6,890 | 501 | 7% | 494 | 84 | 17% |
| გურია | 2,396 | 264 | 11% | 201 | 62 | 31% |
| თბილისი | 14,781 | 2,598 | 18% | 700 | 207 | 30% |
| იმერეთი | 10,273 | 1,714 | 17% | 759 | 192 | 25% |
| კახეთი | 5,621 | 719 | 13% | 380 | 98 | 26% |
| მცხეთა-მთიანეთი | 1,771 | 121 | 7% | 132 | 25 | 19% |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 1,091 | 39 | 4% | 103 | 5 | 5% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 6,653 | 1,381 | 21% | 540 | 149 | 28% |
| სამცხე-ჯავახეთი | 4,684 | 267 | 6% | 387 | 49 | 13% |
| ქვემო ქართლი | 7,760 | 607 | 8% | 620 | 93 | 15% |
| შიდა ქართლი | 4,451 | 628 | 14% | 314 | 121 | 39% |
| სულ: | 66,371 | 8,839 | 13% | 4,630 | 1,085 | 23% |

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია მასწავლებელთა გადამზადება და ცნობიერების ამაღლება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული თემატიკის ტრენინგები 2018 წლამდე ხორციელდებოდა მხოლოდ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის, ხოლო 2018 წლიდან სხვა საგნის მასწავლებლებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი. თუმცა, ტრენინგი არის ნებაყოფლობითი და მასწავლებლებს არ აქვთ მისი გავლის ვალდებულება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს არ აქვს შემუშავებული კონკრეტულ პერიოდზე გათვლილი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც განხორციელდებოდა მასწავლებელთა მთლიანი კონტინგენტის ეტაპობრივი გადამზადება სამოქალაქო განათლების, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მიმართულებებით.

## დასკვნა

ეროვნული სასწავლო გეგმის იმ ნაწილების საფუძვლიანი და ეფექტიანი დანერგვა სასწავლო პროცესში, რომლებიც ეხება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო განათლების საკითხებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას. სამინისტროს მიერ არაფორმალური განათლების მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების არსებობის მიუხედავად, დაბალია მოცემული მიმართულებით საზოგადოების ცნობიერება, შესაბამისად, განხორციელებული აქტივობები არასაკმარისია და საჭიროებს ყველა დაინტერესებული მხარის პროცესში ჩართვას.

მასწავლებელთა კონტინგენტის უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების გადამზადების კუთხით სამოქმედო გეგმის არარსებობა, ზრდის რისკს იმისას, რომ მასწავლებლები სრულად

ვერ იქნებიან ჩართულნი მოცემული მიმართულებით მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაში, რაც შეაფერხებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

## რეკომენდაციები სამინისტროს:

### რეკომენდაცია N 6.

ადამიანის უფლებების შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების საკითხების ეფექტიანი დანერგვა და სკოლების მიხედვით თანაბარი სწავლება განათლების ყველა საფეხურზე.

### რეკომენდაცია N 7.

ბულინგის, უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტროს მიერ დაიგეგმოს და განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებები, სადაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული აქტივობები, მისაღწევი შედეგები და პროგრესის შეფასების ინდიკატორები.

### რეკომენდაცია N 8.

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველსაყოფად, მასწავლებელთა სრული კონტინგენტის უსაფრთხოებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით ეტაპობრივი გადამზადების მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განისაზღვროს კონკრეტული ვადები.

# ბიბლიოგრაფია

## ნორმატიული მასალა


- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის დადგენილება №533 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021-ის“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები”;
- გაეროს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ”, 1989;
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის დადგენილება №37 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ”;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №74/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „სკოლის მანდატურის სამსახურის” დებულების დამტკიცების შესახებ“.


## საერთაშორისო პრაქტიკა


- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2017 წლის კვლევა, 2015;
- ევროკომისიის დოკუმენტი: განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის 2001-2004 – „მასწავლებელთა დატრენინგების მექანიზმები დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანთა უფლებების მიმართულებით“;
- იუნესკოს გლობალური სტატუსის ანგარიში – „ძალადობა და ბულინგი სკოლებში“, 2017.


## ვებგვერდები


- http://gov.ge/files/68_73407_808965_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%902019-2020.pdf – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.
- http://treasury.ge/5671 – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- http://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/kvleva-adamianis-uflebebis-swavlebisa-da-saswavlo-garemos-shesaxeb-zogadsaganmanatleblo-sivrceshi – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- https://www.oecd-ilibrary.org/education/how-much-of-a-problem-is-bullying-at-school_728d6464-en – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- https://unesdoc.unesco.org/in/documentViewer.xhtml?v=2.1.196&id=p::usmarcdef_0000246970&file=/in/rest/annotationSVC/DownloadWatermarkedAttachment/attach_import_c08007ed-11b8-4e87-a5e8-d530529b8472%3F_%3D246970eng.pdf&updateUrl=updateUrl6778&ark=/ark:/48223/pf0000246970/PDF/246970eng.pdf.multi&fullScreen=true&locale=en#%5B%7B%22num%22%3A34%2C%22gen%22%3A0%7D%2C%7B%22name%22%3A%22XYZ%22%7D%2C0%2C829%2C0%5D – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- https://befriend.mes.gov.ge/article/?id=adiqcia – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019

- https://www.ohchr.org/EN/Issues/Education/Training/Compilation/Pages/UnitedNationsDeclarationonHumanRightsEducationandTraining(2011).aspx – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- https://rm.coe.int/16803034e3 – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.Xc0B99UzbIW – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=309 – უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2019.

| აუდიტორთა ხელმოწერა:<br>სახელი, გვარი | ხელმოწერა |
|---|---|
| თამარ ზურაშვილი<br>აუდიტორი | ---------- |
| ანანო ლომაია<br>აუდიტორ-ასისტენტი | ---------- |

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE